

შპს „დიჯიტალ პლატფორმ“-ის (Bitcredit)**მომსახურების პირობები**

ვერსია 1.0

1. შესავალი

1.1 ქვემოთ მოცემული ზოგადი წესები და პირობები (შემდგომში „პირობები“) ვრცელდება შპს „დიჯიტალ პლატფორმ“-ის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „Bitcredit“, „ჩვენ“, „ჩვენი“) ვებ-გვერდზე, პლატფორმაზე, მის ფილიალებსა თუ პარტნიორებზე (შემდგომში ერთობლივად „პლატფორმა“) და Bitcredit-ის პროდუქტებსა და სერვისებზე (შემდგომში ერთობლივად „მომსახურება“).

1.2 პლატფორმის ნებისმიერი მომხმარებელი, მათ შორის თანამშრომლები, აგენტები, შვილობილი კომპანიები, მფლობელები, პარტნიორები ან ამ მომხმარებელთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სუბიექტი, რომელიც არის ან განიხილავს დარეგისტრირებას, მოიხსენიება როგორც „მომხმარებელი“ ან „კლიენტი“.

1.3 პლატფორმის გამოყენებით თქვენ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ პირობებს.

1.4 Bitcredit იტოვებს უფლებას, ვირტუალური აქტივების არასტაბილური ბუნებისა და ვირტუალური ვალუტის ბაზარზე ინტერპრეტაციების ცვალებადობის გამო, ნებისმიერ დროს შეცვალოს, დაამატოს ან წაშალოს ამ პირობების ნაწილი მომხმარებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მომხმარებლის პასუხისმგებლობა პერიოდულად შეამოწმოს წინამდებარე პირობები და ცვლილებები რომელიც ხელმისაწვდომია Bitcredit.ge- ზე.

1.5 ვინაიდან კლიენტს აქვს სურვილი გახსნას Bitcredit მიერ ოპერირებად პლატფორმაზე პირადი ანგარიში და მიიღოს Bitcredit მომსახურებები მხარეები თანხმდებიან დადონ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოხდება Bitcredit მომსახურებების კლიენტზე შეთავაზება და მიწოდება. შესაბამისად, ზემოხსენებული მომსახურებების ხანგრძლივი მიწოდების მიზნით ხელშეკრულება რჩება ძალაში მანამდე სანამ არ მოხდება მხარეთა შორის სამართალური ერთობის დასრულება. სამართალური ერთობის დასასრულებლად მხარეებმა უნდა შეწყვიტონ ხელშეკრულება დამოუკიდებელი შეთანხმებით.

1.6 Bitcredit არ არის პასუხისმგებელი ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის შინაარსის სიზუსტეზე, მიუხედავად ჩვენი დიდი ძალისხმევისა მოგაწოდოთ უტყუარი ინფორმაცია. აღნიშნული არ წარმოადგენს დადასტურებას და გარანტიას, რომ ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაცია არის ზუსტი, უტყუარი და შესაფერისი მისი ნებისმიერი გამოყენებისთვის. Bitcredit ვებ-გვერდზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია მითითებულია „როგორც არის“ ("As Is") საწყისზე. შესაბამისად, ვებ-გვერდზე არსებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება სრულად წარმოადგენს მომხმარებლის პირად რისკს და Bitcredit არ არის პასუხისმგებელი ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებით დამდგარ ზიანზე. წინამდებარე დათქმა არ ეხება Bitcredit ვებ-გვერდზე განთავსებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილებს.

1.7 ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია არ წარმოადგენს დაპირებას მომსახურებაზე/პროდუქტზე ან რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობით Bitcredit შებოჰვის საფუძველს.

1.8 Bitcredit და მისი შესაბამისი თანამშრომლები არ არიან პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ, არასახელშეკრულებო ზიანს, რაც გამოწვეულია ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის გამოყენებით.

Bitcredit არ აგებს პასუხს ვებ-გვერდის გამოყენებით გამოწვეულ რაიმე სახის ზიანზე, დანაკარგზე, თუნდაც ტექნიკური შეფერხების, დეფექტის, ოპერაციის გაუქმება/შეჩერების, კომპიუტერული ვირუსის, ან სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში. 1.9 ვებ-გვერდზე წარმოდგენილი შინაარსის ხელმისაწვდომობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს საძიებო სისტემის ფუნქციებსა და შეზღუდვებზე. Bitcredit არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევებზე, თუ ვებ-გვერდის შემადგენელი გარკვეული კომპონენტები არაა ხელმისაწვდომი თქვენთვის.

2. პირობებში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები

წინამდებარე პირობებში და მის დანართებში მოცემული პირობების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეების მიერ გაფორმებულ სხვა დოკუმენტებში გამოყენებულ ტერმინებს და განმარტებებს აქვთ ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დოკუმენტის კონტექსტიდან აშკარად სხვა რამ არ გამომდინარეობს:

2.1 სესხის გამცემი სუბიექტი – შპს „დიჯიტალ პლატფორმ“ (შემდგომში მოხსენიებული როგორც „Bitcredit“, „ჩვენ“, „ჩვენი“) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდ. კოდი: 405449625, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N29, ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტი (ფინანსური ინსტიტუტი) რეგისტრაციის ნომრით სგს-0120268, რომელიც გასცემს ვირტუალური აქტივებით უზრუნველყოფილ სესხს ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, დისტანციური ელექტრონული არხების მეშვეობით, პლატფორმის წესების საფუძველზე;

2.2 სესხის გამცემი სუბიექტის ფილიალი – სესხის გამცემი სუბიექტის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება სესხის გამცემი სუბიექტის საქმიანობა ან მისი ნაწილი (ასეთიას არსებობის შემთხვევაში);

2.3 სესხი - ვირტუალური აქტივით უზრუნველყოფილი სესხი.

2.4 ვირტუალური აქტივი - ღირებულების ციფრული გამოხატულება, რომელიც არის ურთიერთჩანაცვლებადი და არ არის უნიკალური, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემის ან ვაჭრობის საგანს და გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების განხორციელების მიზნით. ვირტუალური აქტივი არ მოიცავს ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ციფრულ გამოხატულებას;

2.5 ბლოკირებული აქტივები - ნიშნავს „ვირტუალური აქტივების ანგარიშზე“ განთავსებულ ნებისმიერ და ყველა ვირტუალურ აქტივს, ისევე როგორც ბლოკირების პერიოდის მანძილზე, შესაბამის ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებით „ვირტუალური აქტივების ანგარიშზე“ გენერირებულ საგებელს;

2.6 მომხმარებელი ან კლიენტი – საფინანსო პროდუქტის მიმღები ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, გარდა ფინანსური ორგანიზაციისა;

2.7 ოპერაცია/ოპერაციის განხორციელება – ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ახორციელებს ფინანსური ორგანიზაცია მომხმარებლისათვის საფინანსო პროდუქტის მიწოდებისას მისივე შიდა პროცედურებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

2.8 „ანგარიში“-ნიშნავს „მომხმარებლის“ „ანგარიშის მწარმოებელთან“ გახსნილ ანგარიშს;

2.9 განაცხადი - Bitcredit კუთვნილი წერილობითი ფორმა ან მის მიერ ნებისმიერ დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში განთავსებული ფორმა, რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას Bitcredit მომსახურებების შესახებ და რომლის

შევსება და დადასტურება წარმოადგენს კლიენტის მიერ მომსახურებების მიღებაზე, რომლის აუცილებელი წინაპირობაა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ხელშეკრულების დადება, წინამდებარე პირობებზე თანხმობის განცხადება წინამდებარე პირობების მიერ დადგენილი წესით;

2.10. დისტანციური მომსახურება - Bitcredit მომსახურებების ერთობლიობა, რომელთა მიღებაც კლიენტს შეუძლია დისტანციური მომსახურების არხების გამოყენებით;

2.11 დისტანციური მომსახურების არხი - Bitcredit ვებ-გვერდი, მობილური აპლიკაცია ან/და Bitcredit ნებისმიერი სხვა არხი, რომელთა გამოყენებითაც კლიენტს ეძლევა განსაზღვრული მომსახურებების მიღების საშუალება Bitcredit ოფისში ფიზიკურად მოსვლის გარეშე.

2.12. თანხმობა - კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე Bitcredit დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით ან Bitcredit სხვა ნებისმიერი არხის მეშვეობით კლიენტის პირადი ანგარიშის გახსნისას კლიენტის მობილურ ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი პაროლის ან Bitcredit მიერ მოთხოვნილი სხვა უნიკალური წვდომის კოდის მითითება (OTP), რითაც დასტურდება კლიენტის მიერ ამ პირობების გაცნობის, მათზე დათანხმების და ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ფაქტი;

2.13 კანონმდებლობა – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

2.14. დეფოლტის შემთხვევა „მომხმარებლის მიერ“ „სესხის ხელშეკრულებითა“ და მხარეთა შორის სხვა არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა; „ბლოკირებული აქტივების“ ღირებულების შემცირება [●] LTV-ზე (სესხის ოდენობის მიმართება „ბლოკირებული აქტივების“ ფასთან) ქვემოთ ნიშნულამდე, რომელიც კონკრეტულად განისაზღვრება მომხმარებელთან გასაფორმებელი სესხის ხელშეკრულებით.

2.15 აღსრულების შეტყობინება - შეტყობინების გაგზავნა „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის მოთხოვნით.

არსებითი უარყოფითი გავლენა - ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელმაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს:

(ა) „მომხმარებლის“ უნარზე შეასრულოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ და/ან „სესხის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მისი ნებისმიერი ვალდებულება;

(ბ) ბლოკირებასთან დაკავშირებულ Bitcredit უფლებებსა და უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებზე;

(გ) წინამდებარე „ხელშეკრულების“ ან მის საფუძველზე Bitcredit მინიჭებული უფლებების, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების და უპირატესობების კანონიერებაზე, ნამდვილობაზე, აღსრულებადობასა და სავალდებულო ძალაზე;

(დ) „ბლოკირებული აქტივების“ ღირებულებაზე;

2.16 სესხის ხელშეკრულება - მომხმარებელსა და Bitcredit შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

2.17 უზრუნველყოფილი ვალდებულებები - ნიშნავს „მომხმარებლის“ ვალდებულებას გადაიხადოს/აანაზღაუროს „სესხის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ძირითადი თანხა, პროცენტი, პირგასამტეხლო, საკომისიო, ხარჯი, ზიანი ან სხვა ნებისმიერი გადასახდელი თანხა, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია „სესხის ხელშეკრულებასთან“; ასევე ნებისმიერი ხარჯი, რომელიც შესაძლოა Bitcredit წარმოემვას

„დაბლოკილი აქტივების“ რეალიზაციის ან „ხელშეკრულების“ აღსრულების პროცესში;

2.18 კლიენტი ან მომხმარებელი - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელიც ანიჭებს Bitcredit უპირობო უფლებას დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემები (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნივერსალური იდენტიფიკატორები), მიიღოს ისინი მესამე პირისგან და გადასცეს მესამე პირებს ამ პირობების 14-ე მუხლში დადგენილი პირობების ფარგლებში;

2.19. Bitcredit ვებ-გვერდი - ვებ-გვერდი www.Bitcredit.ge (დისტანციური მომსახურების არხი), რომლის საშუალებითაც კლიენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მომსახურებები მათ შორის, შეავსოს განაცხადი, გაეცნოს ხელშეკრულებას, პირობებს და განახორციელოს Bitcredit მიერ ნებადართული სხვა მოქმედება;

2.20. Bitcredit კლიენტთა მომსახურების ცენტრი - Bitcredit კლიენტთა მომსახურების პუნქტი, რომელთან დაკავშირებაც კლიენტებს შეუძლიათ ტელეფონის საშუალებით ნომერზე +995 322 420 000 ან/და ელექტრონული წერილის გაგზავნით შემდეგ მისამართზე: support@Bitcredit.ge;

2.21. Bitcredit პარტნიორი კომპანია - ნებისმიერი კომპანია მათ შორის სს „იმანი ჯორჯია“, შპს ნიუ დიჯიტალ ტექნოლოჯიზ, რომელიც ჩართულია Bitcredit დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში ან/და ახორციელებს ერთადერთობლივი მომსახურებების შეთავაზებას კლიენტებზე;

2.17 Bitcredit პლატფორმა - Bitcredit მიერ ოპერირებადი პლატფორმა, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს Bitcredit ვებ-გვერდსა ან/და ხელმისაწვდომ ყველა სხვა ალტერნატიულ არხს;

2.22. მომსახურებები - კლიენტის მიერ განაცხადით/დავალებით მოთხოვნილი მომსახურებები, რომლებიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ვირტუალური აქტივით უზრუნველყოფილი სესხის გაცემას.

2.23. მიმდინარე დავალიანება - კლიენტის მიერ Bitcredit წინაშე შესასრულებელი ნებისმიერი ფულადი ან სხვა ტიპის ვალდებულება კონკრეტული დროის მონაკვეთში;

2.24. მობილური აპლიკაცია - Bitcredit ან/და მისი პარტნიორი კომპანიის მობილური აპლიკაცია (დისტანციური მომსახურების არხი), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კლიენტისთვის მომსახურებების მიწოდება;

2.25. მხარე - Bitcredit ან კლიენტი/მომხმარებელი;

2.26. მხარეები - Bitcredit და კლიენტი/მომხმარებელი ერთობლივად;

2.27. ოპერაცია - კლიენტის მიერ განხორციელებული პირად ანგარიშთან ან/და მომსახურებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაცია, მათ შორის PIN-ის ან სხვა წვდომის კოდ(ებ)ის გამოყენებით;

2.28. პირობები - წინამდებარე პირობები, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.29 უნივერსალური იდენტიფიკატორები - Bitcredit მიერ კლიენტისათვის მიწოდებული მონაცემების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც კლიენტი რეგისტრირდება ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში და რომელთა საშუალებით შესაძლებლობა ეძლევა ისარგებლოს რიგი დისტანციური მომსახურებებით ან/და დისტანციური მომსახურების არხებით;

2.30. ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურება - დისტანციურ მომსახურებებში შემავალი მომსახურებების/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის ის ნაწილი, რომელზე წვდომაც ხორციელდება ცენტრალიზებულად, ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის

სისტემაში კლიენტის მიერ რეგისტრირებული უნივერსალური იდენტიფიკატორების გამოყენებით;

2.29.ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემა - სისტემა, რომელშიც რეგისტრირდება კლიენტის ავტორიზაციის მეთოდი და კლიენტის უნივერსალური იდენტიფიკატორები, რომელთა გამოყენებითაც კლიენტი ისარგებლებს Bitcredit რიგი დისტანციური მომსახურებებით ან/და დისტანციური მომსახურების არხებით;

2.30.წვდომის კოდ(ებ)ი - კოდები, პაროლები, კლიენტის სახელი, საიდენტიფიკაციო კოდი, უნივერსალური იდენტიფიკატორები და/ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც Bitcredit შესაძლოა მიაწოდოს კლიენტს სხვადასხვა მომსახურებასთან (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დისტანციური მომსახურებები) უსაფრთხო წვდომისათვის;

2.31.ხელშეკრულება - კლიენტსა და Bitcredit შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულება, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოიცავს თანხმობას, ამ პირობებსა და მის დანართებს;

2.32.ხელშეკრულების “შეწყვეტაში” იგულისხმება ხელშეკრულების ჩვეულებრივ ვადის ამოწურვაც;

2.33.სიტყვები “მათ შორის”, “მაგალითად” ან “როგორიცაა” არ ზღუდავს შესაბამისი სიტყვის მნიშვნელობას მხოლოდ აღნიშნული სიტყვების შემდეგ მითითებული სიტყვების მნიშვნელობით;

2.34 მხოლოდობით გამოყენებული სიტყვა მოიცავს იმავე მნიშვნელობას მრავლობითშიც, და პირიქით.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3., Bitcredit ვალდებულია:

3.1.1.მომხმარებლის მიერ Bitcredit წარდგენილი შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, სესხის პირობების დაკმაყოფილებისა და ვირტუალური აქტივით უზრუნველყოფის დადასტურების შემდგომ გასცეს სესხი,

3.1.2.უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, მათ შორის, მომხმარებელთან გასაფორმებელ/გაფორმებულ ხელშეკრულებებში. Bitcredit მომხმარებელს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს პროდუქტის ნებისმიერი არხით შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც პროდუქტის მიღებასთან, სარგებლობასთან და/ან სარგებლობის დასრულებასთან დაკავშირებით მომხმარებელს არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებასა, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.

3.1.3 სესხის გაცემაზე უარის შემთხვევაში, Bitcredit უნდა უზრუნველყოს აღნიშნულის შესახებ მომხმარებლის ინფორმირება.

3.2 Bitcredit უფლებამოსილია

3.2.1.Bitcredit უფლება აქვს მოახდინოს „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის ინიცირება დეფოლტის შემთხვევაში.

3.2.2.Bitcredit ვალდებულია შეატყობინოს მომხმარებელს, განუსაზღვროს მას 2 (ორი) კვირის დამატებითი ვადა ვალდებულების შესრულებისათვის და აცნობოს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიწყება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული აღსრულების პროცედურები. „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის უფლება წარმოიშობა მხოლოდ აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შედეგად.

3.2.3.თუ დადგება „ბლოკირებული აქტივების“ ღირებულების შემცირება (სესხის ოდენობის

მიმართება „ბლოკირებული აქტივების“ ფასთან) სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა კონკრეტული მაჩვენებელი ქვემოთ ნიშნულამდე. Bitcredit „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის ინიცირების უფლება წარმოეშობა კერძოდ, ამ შემთხვევაში Bitcredit დაუყოვნებლივ დაუკავშირდება „მომხმარებელს“ ამ უკანასკნელის მისთვის ცნობილ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და განუსაზღვრავს მას ვადას სანაცვლო უზრუნველყოფის წარმოსადგენად, რომელსაც ექნება სესხის გამცემი სუბიექტისთვის მისაღები ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ „მომხმარებელი“ ვერ შეძლებს ალტერნატიული ვირტუალური აქტივის წარმოდგენას განსაზღვრულ ვადაში, სესხის გამცემი სუბიექტი უფლებამოსილია დააინიციროს „აღსრულების შეტყობინება“ მომხმარებლის წინასწარ განცხადებული თანხმობის შესაბამისად უზრუნველყოს „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაცია. დეტალური პირობები განისაზღვრება სესხის ხელშეკრულების შესაბამისად.

3.2.4. ნებისმიერ დროს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის შემდეგ, Bitcredit ერთპიროვნული შეხედულებისამებრ, მას უფლება აქვს, ისარგებლოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი უფლებით და აინაზღაუროს თანხები, რომლის მიღების უფლებაც მას გააჩნია წინამდებარე „ხელშეკრულების“ და „სესხის ხელშეკრულების“ თანახმად, რისთვისაც მას არ სჭირდება:

(ა) „მომხმარებლის“ საწინააღმდეგოდ დავების განმხილველი შესაბამისი ორგანოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

(ბ) სააღსრულებო ფურცლის ან სხვა სასამართლო დოკუმენტის მიღება, რომელიც განსაზღვრავს აღსრულებასთან დაკავშირებულ მის უფლებებს.

3.2.5. „მომხმარებელი“ ვალდებულია, არ გაასაჩივროს ან სხვაგვარად არ შეუშალოს ხელი Bitcredit „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის პროცესში.

3.2.6. როდესაც სრულად მოხდება „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაცია და ამოღებული თანხების სესხის გამცემი სუბიექტის ანგარიშზე გადარიცხვა, დაუშვებელია ნებისმიერი მესამე მხარის მიმართ „მომხმარებლის“ დავალიანების ჩამოწერა გადახდა ან ჩათვლა „ბლოკირებული აქტივების“ ხარჯზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმპერატიული ხასიათის შეზღუდვებისა, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სასამართლოს მიერ დადებულ ყადაღას და სხვ., რაც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3.2.7. „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის შემთხვევაში, აღსრულების შედეგად მიღებული სახსრები გამოყენებულ უნდა იქნას „უზრუნველყოფილი ვალდებულებების“ დასაკმაყოფილებლად.

3.2.8. „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის შემთხვევაში, გაყიდვის/გადაცვლის შედეგად მიღებული სახსრები გამოყენებულ უნდა იქნას (ა) რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის, მათ შორის, საკომისიოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაფარად და (ბ) „უზრუნველყოფილი ვალდებულებების“ დასაკმაყოფილებლად, „ხელშეკრულების“ და „სესხის ხელშეკრულების“ დებულებათა შესაბამისად.

3.2.9. იმ შემთხვევაში, თუ „ბლოკირებული აქტივების“ რეალიზაციის შედეგად Bitcredit მიერ მიღებული თანხა არ არის საკმარისი „უზრუნველყოფილი ვალდებულებების“ სრულად დასაკმაყოფილებლად, სესხის გამცემი სუბიექტს უწყდება მოთხოვნა „მომხმარებლის“ მიმართ და არ შეეძლება მიეცევა „მომხმარებლის“ სხვა ქონებაზე.

3.2.10. თუ რეალიზაციიდან ამონაგები თანხა აღემატება „უზრუნველყოფილი ვალდებულებებს“ და ხარჯებს, სესხის გამცემი სუბიექტისთვის ანგარიშზე რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის (რომელიც უნდა იყოს თავისუფლად ხელმისაწვდომი სახსრები) ჩარიცხვიდან დაუყოვნებლივ დაუბრუნდება „მომხმარებელს“ თანხას, რაც დარჩება „უზრუნველყოფილი ვალდებულებების“ და „ხარჯების“ სრულად დაფარვის შემდგომ. თანხის დაბრუნება მოხდება „მომხმარებლის“ მიერ მითითებულ ნებისმიერ ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

3.3. მომხმარებელი ვალდებულია:

3.3.1. „მომხმარებელი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ:

3.3.2. იგი დაუყოვნებლივ შეატყობინებს Bitcredit „ბლოკირებულ აქტივებთან“ მიმართებით ნებისმიერი სახის ყადაღის ან სხვა სამართლებრივი პროცედურის დაწყების ან შესაძლო დაწყების შესახებ, ან იმ სხვა მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა „არსებითად უარყოფითი გავლენა“ იქონიოს „ბლოკირებულ აქტივებზე“;

3.3.3. იგი შეატყობინებს სესხის გამცემ სუბიექტს იმ ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება „არსებითად უარყოფითი გავლენა“ იქონიოს ამ „ხელშეკრულების“ ნამდვილობასა და აღსრულებადობაზე, ან სესხის გამცემი სუბიექტის წარმოშობილ უფლებებზე;

3.3.4. იგი მოთხოვნისამებრ და სათანადო ფორმით მიაწვდის Bitcredit „ბლოკირებული აქტივების“ ფლობისა და საკუთრების უფლების დამადასტურებელი ყველა სერთიფიკატის, ამონაწერის და ნებისმიერი სხვა ამგვარ დოკუმენტს;

3.3.5. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობაში მოხდება ისეთი ცვლილებების ან დამატებების შეტანა, რომელიც ნებისმიერი სახით გავლენას იქონიებს წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“, იგი ხელს მოაწერს ამ „ხელშეკრულების“ ნებისმიერ ცვლილებას ან ცალკე შეთანხმებას, Bitcredit მისაღები ფორმით, რათა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული სულისკვეთება და კომერციული მიზანი;

3.3.6. იგი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს დაცვას ყველა იმ სარჩელისგან/პრეტენზიისგან, რომელიც მიმართული იქნება „ბლოკირებული აქტივების“ მფლობელობისა და საკუთრების უფლების წინააღმდეგ, როგორც „ბლოკირებულ აქტივებზე“ იურიდიული ძალის მქონე, უპირატესი უფლების წინააღმდეგ;

3.3.7. იგი არ გაყიდის, გააჩუქებს, გაცვლის ან სხვაგვარად გაასხვისებს ან დატვირთავს „ბლოკირებულ აქტივებს“, რაც, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს უპირატესი შესყიდვის, გირავნობის ან განკარგვის უფლების მინიჭებას სესხის გამცემი სუბიექტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

3.3.8. „მომხმარებლის“ ვალდებულებები ძალაშია ამ „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღიდან „უზრუნველყოფილი ვალდებულებების“ სრულ და უპირობო დაკმაყოფილებამდე.

3.4. მომხმარებელი უფლებამოსილია:

3.4.1. გაეცნოს ხელშეკრულების პირობებს, რომელიც გულისხმობს რომ მომხმარებელი ინდივიდუალურად დაგენერირებული ხელშეკრულების (პდფ ფორმატში) პირობებს გაეცნობა, რომლის ჩამოტვირთვაც შესაძლებელია, თანხმობა განხორციელდება ინდივიდუალური ელექტრონული დასტურით, ხოლო წინამდებარე თანხმობები დაილოგება, რომლებიც ცალკე კონკრეტული მომხმარებლის მიხედვით იქნება იდენტიფიცირებადი, აღნიშნული ხელშეკრულება ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებლის ინდივიდუალურ კაბინეტში (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, "ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის" და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის N 32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ შესაბამისად);

3.4.2. მიიღოს ამონაწერი;

3.4.3. განახორციელოს სესხის დახურვა წინსწრებით - რაც გულისხმობს სესხის დახურვას ვადაზე ადრე, რა დროსაც სესხის დახურვის მომენტისათვის არსებული ვალდებულება იფარება - სესხის პროცენტი და სესხის ძირი საკომისიოს გარეშე.

3.4.5. წარადგინოს პრეტენზიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. განცხადებები და გარანტიები

4.1. თანხმობით კლიენტი ადასტურებს, რომ:

4.1.1. „ბლოკირებულ აქტივებთან“ დაკავშირებით ნამდვილი, სწორი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, „მომხმარებელი“ Bitcredit წინაშე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

4.1.2. იგი არის სათანადო ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკური პირი [ან შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული კომპანია] და მას აქვს წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსიანობა;

4.1.3. ის არის „ბლოკირებული აქტივების“ ერთადერთი კანონიერი და ბენეფიციარი მესაკუთრე. „მომხმარებელმა“ „ბლოკირებული აქტივები“ შეიძინა საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით;

4.1.4. „ბლოკირებული აქტივები“ თავისუფალია ნებისმიერი შეზღუდვის, ვალდებულების ან დათქმისგან ან მესამე პირების ნებისმიერი სხვა უფლებისაგან, რამაც, გონივრული შეფასებით, შესაძლოა იქონიოს „არსებითად უარყოფითი გავლენა“. „ბლოკირებული აქტივები“ თავისუფალია ნებისმიერი უფლებრივი ნაკლისგან და „მომხმარებელი“ არ არის რაიმე სახის საგადასახადო მოთხოვნის ან დავის მხარე;

4.1.5. მხარეთა შორის დასადები/დადებული „ხელშეკრულების“ ნამდვილობა და აღსრულებადობა არ არის დამოკიდებული და მისი სათანადო დადება ან შესრულება „მომხმარებლის“ მიერ არ საჭიროებს რომელიმე მესამე პირის თანხმობას, ხოლო ასეთი თანხმობის საჭიროების შემთხვევაში, ისინი სათანადოდ იქნა მოპოვებული;

4.1.6. მას არ დაუდია რაიმე სახის ხელშეკრულება ან გარიგება, რომელიც გამოიწვევს რაიმე სახის დატვირთვის წარმოშობას „ბლოკირებულ აქტივებთან“ მიმართებით და რომელსაც ექნება მავალდებულებელი ძალა მხარეთა შორის „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღისათვის ან მის დადების შემდეგ ნებისმიერ დროს;

4.1.7. იგი დროულად და სათანადოდ ასრულებს მის ნებისმიერ და ყველა ვალდებულებას, რომელიც დროდადრო შეიძლება მას გააჩნდეს მესამე მხარესთან დადებული რაიმე ხელშეკრულების საფუძველზე და რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ან „არსებითად უარყოფითი გავლენა“ იქონიოს მის უფლებებზე „ბლოკირებულ აქტივებთან“ მიმართებით;

4.1.8. არც „ბლოკირებული აქტივები“, არც მისი რაიმე ნაწილი და არც მასზე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლება არ ექვემდებარება რაიმე სახის დავას და მასთან დაკავშირებით არ არის მოსალოდნელი არანაირი სასამართლო, საარბიტრაჟო ან მსგავსი საქმის წარმოება.

5. პირადი ანგარიშის გახსნა

5.1. Bitcredit მომსახურებებით სარგებლობისთვის კლიენტი პირველ რიგში ვალდებულია Bitcredit ვებ-გვერდზე ან სხვა არხების გამოყენებით (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის გამოყენებით) მისი პირადი მონაცემების რეგისტრაციის საფუძველზე გახსნას პირადი ანგარიში. რეგისტრაციის პროცესში კლიენტი ვალდებულია განაცხადოს თანხმობა წინამდებარე პირობებზე და Bitcredit კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების პირობებზე. კლიენტი ვალდებულია ამოებჭდოს და მომავალი სარგებლობისათვის შეინახოს წინამდებარე პირობების ასლი.

5.2. კლიენტი უფლებამოსილია გახსნას პირადი ანგარიში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნებადართულია კლიენტის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით. პირადი ანგარიშის გახსნით, კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ კლიენტის მიერ პირადი ანგარიშის გახსნით კლიენტი არ არღვევს არანაირ კანონს ან რეგულაციას. კლიენტი ვალდებულია დაიცვას Bitcredit ინტერესები და აუნაზღაუროს Bitcredit ყველა ზიანი, რომელიც მას მიადგა კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად;

5.3.კლიენტის მიერ რეგისტრაციის პროცესში და შემდგომ, ნებისმიერ დროს მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და შეესაბამებოდეს სიმართლეს;

6.პირადი ანგარიშით სარგებლობა

6.1. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს მის პირად ანგარიშზე არსებული ინფორმაციის სიზუსტე და მისი განახლება. Bitcredit არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ არანაირ ზიანზე. Bitcredit უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს კლიენტისგან ინფორმაციის სისწორის დადასტურება ან დოკუმენტების ან სხვაგვარი მტკიცებულების წარმოდგენა;

7.ზოგადი პირობები დისტანციური მომსახურების და დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის შესახებ

7.1.დისტანციური მომსახურებებით სარგებლობის უფლებას კლიენტი იძენს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრაციისთანავე. ამასთანავე:

7.1.1.დისტანციური მომსახურებებით სარგებლობის უფლება კლიენტს ენიჭება ავტომატურად პირადი ანგარიშის გახსნისთანავე და ამ უფლების გააქტიურება ხდება წვდომის კოდის გადაცემის გზით;

7.1.2.დისტანციური მომსახურებებით სარგებლობის უფლების გააქტიურება კლიენტის მიერ ხორციელდება უნივერსალური იდენტიფიკატორების გამოყენების გზით;

7.2.კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს Bitcredit სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს დისტანციური მომსახურებით სარგებლობას.

7.3.კლიენტის და/ან საკუთარი ინტერესების დასაცავად Bitcredit შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს კლიენტის მიერ დისტანციური მომსახურების/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის ან მისი ნაწილის გამოყენება. Bitcredit პირველი შესაძლებლობისთანავე გაუგზავნის კლიენტს შეტყობინებას აღნიშნულის თაობაზე. Bitcredit აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დისტანციური მომსახურება/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ი ან მისი ნაწილი;

7.4.კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს Bitcredit განახორციელოს ყველა ზეპირი ან ელექტრონული მითითება, რომელსაც კლიენტი გასცემს (ან ჩანს, რომ გასცა) დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის მეშვეობით;

7.5.Bitcredit მხრიდან არ ჩაითვლება პირობების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული რაიმე ზარალზე, როდესაც:

7.5.1. დისტანციური მომსახურების (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია Bitcredit დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

7.5.2.კლიენტის უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, წვდომის კოდები) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი არაავტორიზებული გამოყენება გამოწვეული იყო Bitcredit უხეში გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით ან განზრახვი ბრალით;

7.5.3.Bitcredit ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მისი ციფრული ინფრასტრუქტურის ან/და სერვერების უსაფრთხოება და მისი კომერციულად და საოპერაციოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახება „ამაზონის“ ან/და მსგავსი მასშტაბის სანდო კომპანიების მიერ ადმინისტრირებად სერვერებზე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

7.6.Bitcredit შეუძლია შეცვალოს წინამდებარე აღწერილი პირობები, ასევე პირობების შესაბამის დანართებსა თუ პუნქტებში მოყვანილი დებულებები ნებისმიერ დროს იმისათვის, რომ შეუსაბამოს იგი საბაზრო პირობებს, Bitcredit დადგენილ ახალ წესებსა და შესაბამის კანონმდებლობას;

7.7.ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით სარგებლობისათვის საჭირო უნივერსალური იდენტიფიკატორების რეგისტრაცია ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში, ასევე მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღება და აღდგენა, მობილური ტელეფონის ნომრის ჩანაცვლება, კლიენტმა შეიძლება განახორციელოს დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის ან სხვა არხების გამოყენებით;

7.8 დოკუმენტის SMS კოდით დადასტურების პირობები:

7.8.1. Bitcredit დადგენილი პროცედურების შესაბამისად, Bitcredit უფლებამოსილია შესთავაზოს კლიენტს, ნებისმიერი ოპერაციის, დავალების ან/და სხვა მომსახურების ფარგლებში Bitcredit-ის მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის ხელშეკრულების) (ამ პუნქტის მიზნებისათვის შემდგომში ერთობლივად SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტი) კლიენტის მატერიალური ხელმოწერის ნაცვლად SMS კოდის საშუალებით დადასტურება, ამ პუნქტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.8.2. SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტის ჩამონათვალს/სახეებს Bitcredit განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებით.

7.8.3. Bitcredit კლიენტის მიერ დასახელებულ/წინასწარ განსაზღვრულ ფინანსურ ნომერზე ან/და სხვა მობილური ტელეფონის ნომერზე, კლიენტს გაუგზავნის: (ა) შესაბამის SMS კოდს; და (ბ) შესაბამისი SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებს, რომლის შინაარსს და ფორმას განსაზღვრავს Bitcredit-ის საკუთარი შეხედულებით.

7.8.4. კლიენტის მიერ SMS კოდის Bitcredit-თვის მიწოდებით (SMS კოდს კლიენტი Bitcredit - ის შესაბამის თანამშრომელს მიაწვდის ზეპირად) კლიენტი ადასტურებს, რომ ის სრულად გაეცნო შესაბამის SMS კოდით დასადასტურებელ დოკუმენტს, ეთანხმება მასში მოცემული პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტის გაფორმება/დადება.

7.8.5. კლიენტის მიერ SMS კოდის Bitcredit-სთვის მიწოდების შემთხვევაში, Bitcredit შეიყვანს SMS კოდს პროგრამულ უზრუნველყოფაში და დაასრულებს SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებასთან/დადებასთან დაკავშირებულ პროცესს.

7.8.6. SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტის კლიენტის მიერ SMS კოდით დადასტურებას აქვს იგივე სამართლებრივი ძალა რაც კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებულ მატერიალურ ხელმოწერას;

7.8.7. SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტის SMS კოდით დადასტურებისას, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, Bitcredit კლიენტს მიაწვდის შესაბამისი SMS კოდით დასადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

7.8.8. Bitcredit არ არის პასუხისმგებელი იმ შესაძლო ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს SMS კოდის კლიენტის მიერ Bitcredit-სთვის არასწორად მითითებულ ფინანსურ ნომერზე ან/და სხვა მობილურ ტელეფონის ნომერზე გაგზავნის შედეგად.

8. პირადი ანგარიშის, დისტანციური მომსახურებებით და დისტანციური მომსახურებების არხ(ებ)ით სარგებლობის უსაფრთხოების დაცვა

8.1.კლიენტი ვალდებულია ყოველთვის უსაფრთხოდ შეინახოს მისი პირადი ანგარიშის

წვდომის კოდები და არასდროს გაუმჟღავნოს ისინი მესამე პირებს. Bitcredit თანამშრომლები არასდროს მოთხოვენ კლიენტს მისი წვდომის კოდების სხვა მესამე პირისთვის წარდგენას. კლიენტი ვალდებულია აცნობოს Bitcredit მის მიერ მიღებული ნებისმიერი გზავნილის, ან ნებისმიერი ვებ-გვერდის შესახებ, გარდა Bitcredit ვებ-გვერდისა, Bitcredit დაკავშირებული პირების (მათ შორის Bitcredit პარტნიორი კომპანიების) ვებ-გვერდებისა, რომელიც მოითხოვს პირადი ანგარიშის წვდომის კოდების გამოყენებას. კლიენტი ვალდებულია დაუკავშირდეს Bitcredit კლიენტთა მომსახურების ცენტრს, თუ ეჭვი გაჩნდა რომ ზემოაღნიშნული რომელიმე ვებ-გვერდი არ არის ნამდვილი. კლიენტი ვალდებულია:

- წვდომის კოდების მიღებისთანავე დაიმახსოვროს და დაუყოვნებლივ გაანადგუროს ისინი;
- არასოდეს გაუმხილოს დეტალები წვდომის კოდ(ებ)ის შესახებ მესამე პირს (აღნიშნულ შემთხვევაში მესამე პირებად არ განიხილება Bitcredit ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ გადასცემენ კლიენტს წვდომის კოდ(ებ)ს ან კლიენტის დავალების საფუძველზე ახორციელებენ წვდომის კოდ(ებ)ის შეცვლას ან წვდომის კოდ(ებ)ის გააქტიურებას. ასევე ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც

Bitcredit თანამშრომლის დაშვება წვდომის კოდ(ებ)თან აუცილებელია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის ან/და შესაბამისი მომსახურების განხორციელებისათვის);

- არასოდეს ჩაწეროს წვდომის კოდ(ებ)ი ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელიც ავტომატურად ინახავს ინფორმაციას (მაგალითად, კომპიუტერის “პაროლის შენახვის” ფუნქცია ან ინტერნეტის სხვა მსგავსი ფუნქცია);
- არასოდეს დაწეროს წვდომის კოდები ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი ამოცნობა;
- არ დართოს ნება სხვა პირებს ისარგებლონ კლიენტის პირადი ანგარიშით ან დააკვირდნენ კლიენტს მის პირად ანგარიშზე შესვლის დროს;
- არ აირჩიოს ადვილად გამოსაცნობი პაროლი, რომელიც შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა პირის მიერ; ან
- არ აირჩიოს პაროლი, რომელსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა;

8.2. კლიენტი ვალდებულია შეცვალოს მისი პაროლი და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს Bitcredit კლიენტთა მომსახურების ცენტრს, იმ შემთხვევაში თუ კლიენტს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი რომ მის პირად ანგარიშზე შესასვლელი ინფორმაცია, პაროლი ან უსაფრთხოების სხვა წვდომის კოდ(ებ)ი ან საშუალებები იქნა მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული, უნებართვოდ გამოყენებული ან სხვაგვარად მითვისებული. კლიენტის მიერ Bitcredit ინფორმირების დაგვიანება არა მარტო ზეგავლენას მოახდენს კლიენტის პირადი ანგარიშის უსაფრთხოებაზე, არამედ გამოიწვევს კლიენტის პასუხისმგებლობას ნებისმიერ დანაკარგთან/ზარალთან დაკავშირებით. თუ კლიენტს ეჭვი აქვს, რომ მისი პირადი ანგარიში კლიენტის თანხმობის გარეშე გამოიყენა სხვა პირმა, კლიენტი ასევე ვალდებულია აცნობოს პოლიციას აღნიშნული ფაქტის შესახებ;

8.3. Bitcredit უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან სხვაგვარად შეზღუდოს კლიენტის პირადი ანგარიშის ფუნქციონირება, თუ Bitcredit ეჭვი გაუჩნდება, რომ კლიენტის პირადი ანგარიში გამოყენებულია სხვა პირის მიერ კლიენტის ნებართვის გარეშე ან იგი სხვაგვარად იქნა მითვისებული.

8.4. კლიენტი ასევე ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა და უზრუნველყოს, რომ კლიენტის ელექტრონული ფოსტის ანგარიშები არის დაცული და სარგებლობს მხოლოდ

კლიენტი, რადგან მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პაროლის/წვდომის კოდების აღსადგენად ან კლიენტის პირად ანგარიშთან დაკავშირებული კომუნიკაციის განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის პირად ანგარიშთან დაკავშირებული ელექტრონული ფოსტა იქნა უკანონოდ გამოყენებული, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ Bitcredit კლიენტთა მომსახურების ცენტრს და კლიენტის ელექტრონული ფოსტის სერვის პროვაიდერს;

8.5.თუ კლიენტი პირადი ანგარიშით სარგებლობისათვის იყენებს საჯარო ან საერთო მოხმარების კომპიუტერს, კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ კლიენტის პირად ანგარიშზე წვდომის კოდები არ შეინახება ვებ ბრაუზერში ან ქეშში. თუ კლიენტი იყენებს პირად კომპიუტერს, ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მხოლოდ კლიენტი სარგებლობდეს აღნიშნული კომპიუტერით. კლიენტი ვალდებულია არასდროს გამოიყენოს კომპიუტერის ნებისმიერი ისეთი ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პირად ანგარიშზე წვდომის კოდების კომპიუტერზე შენახვა და დამახსოვრება;

8.6.კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის და მისი ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, Bitcredit უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შექმნას კლიენტის იდენტიფიცირების დამატებითი ღონისძიებები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, მოითხოვოს სპეციალური მოწყობილობის, პროგრამის საშუალებით შექმნილი დამატებითი წვდომის კოდ(ებ)ის ან სხვა სახის ციფრული ან/და ელექტრონული წვდომის კოდ(ებ)ის გამოყენება, რომელიც Bitcredit მიერ არის მოწოდებული გარკვეული ოპერაციების შესასრულებლად;

8.7.კლიენტი ვალდებულია დაიცვას პირადი ანგარიშით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, უნივერსალურ იდენტიფიკატორებს, Bitcredit მიერ მოწოდებულ ციფრული, პროგრამული ან სხვა სახის ციფრული თუ ელექტრონული წვდომის საშუალებებს ან აღნიშნულ საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა სახის წვდომის კოდებს;

8.8.გარკვეულ მომსახურებებს, რომელთა გამოყენების უფლებაც გააჩნია კლიენტს, შესაძლებელია ჰქონდეს უსაფრთხოების სხვა დამატებითი მოთხოვნები და კლიენტი ვალდებულია გაეცნოს ასეთ მოთხოვნებს;

8.9.როდესაც კლიენტი დაუკავშირდება Bitcredit კლიენტთა მომსახურების ცენტრს, მას შესაბამისი ოპერატორი მოსთხოვს უნივერსალური იდენტიფიკატორების დასახელებას;

8.10.Bitcredit ოპერატორი განახორციელებს Bitcredit დაწესებულ პროცედურებს, რათა მოახდინოს კლიენტის იდენტიფიცირება. Bitcredit ვერ შეძლებს მოემსახუროს კლიენტს, თუ მიიჩნევს, რომ კლიენტის იდენტიფიცირება შეუძლებელია;

8.11.კლიენტის მიერ უნივერსალური იდენტიფიკატორების ზედიზედ სამჯერ არასწორად გამოყენების შემთხვევაში კლიენტი ვეღარ შეძლებს გარკვეული დისტანციური მომსახურებებით სარგებლობას. ასეთი დისტანციური მომსახურებით შემდგომი სარგებლობისათვის კლიენტი უნდა მივიდეს Bitcredit ოფისში სამუშაო საათების განმავლობაში;

8.12.Bitcredit არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევებზე, როდესაც სატელეფონო საუბარი კლიენტსა და Bitcredit შორის კომპრომეტირებულია მესამე პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც Bitcredit მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;

8.13.კლიენტის მიერ სატელეფონო უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილების შემთხვევაში Bitcredit უფლებამოსილია დაეყრდნოს კლიენტის ზეპირ დავალებებს. Bitcredit არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან მოახდინოს კლიენტის შემდგომი იდენტიფიკაცია. კლიენტი ვერ შეედავება Bitcredit ასეთი პრეზუმფციის გამო. კლიენტს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უნივერსალური იდენტიფიკატორების საიდუმლოდ შენახვაზე. უნივერსალური იდენტიფიკატორებით მესამე ან სხვა პირის მიერ სარგებლობა ჩაითვლება უნივერსალური იდენტიფიკატორებით კლიენტის მიერ სარგებლობად;

9.14.კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ Bitcredit და Bitcredit ლოგო წარმოადგენს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს.

8.15.კლიენტი პასუხისმგებელია ნებისმიერ სატელეფონო ხარჯზე და/ან ნებისმიერ ისეთი სახის ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით სარგებლობისას ინტერნეტპროვაიდერის მოხმარებით.

8.16.სესხის გამცემი სუბიექტი უფლებამოსილია კლიენტს გაუზიაროს უსაფრთხო შეტყობინება ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების შეტყობინებების სისტემის მეშვეობით.

9.ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრირებული უნივერსალური იდენტიფიკატორებია:

9.1.მომხმარებლის სახელი – ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების მისაღებად, ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო, ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემის მიერ ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრული ერთ-ერთი პარამეტრი, რომელიც უნიკალურია, ამასთანავე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს კლიენტის მიერ, შესაბამისი დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის გამოყენებით, და განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად;

9.2.პაროლი – ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების მისაღებად ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთი პარამეტრი, რომელიც კლიენტს გადაეცემა ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრაციისთანავე, Bitcredit მიერ შერჩეული დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის ან კომუნიკაციის სხვა არხის საშუალებით. პაროლი, რომელიც თავდაპირველად გადაეცემა კლიენტს, ექვემდებარება სავალდებულო ცვლილებას კლიენტის მიერ ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების მისაღებად ნებისმიერი დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის პირველივე გამოყენებისას. ამასთანავე, შესაბამისი ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით სარგებლობის პერიოდში კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს Bitcredit დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს არსებული პაროლი შესაბამისი დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის გამოყენებით;

9.3.მობილური ტელეფონის ნომერი – ტელეფონის ნომერი, რომელზეც კლიენტი იღებს ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით განსაზღვრული ოპერაციების წარმოებისთვის საჭირო ერთჯერად წვდომის კოდებსა და ერთჯერად პაროლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ერთჯერად პაროლებს კლიენტი მიიღებს მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერზე). ამასთანავე, შესაბამისი დისტანციური მომსახურებით სარგებლობის პერიოდში კლიენტი უფლებამოსილია, ხოლო Bitcredit მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, ნებისმიერ დროს დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს მობილური ტელეფონის ნომერი შესაბამისი დისტანციური მომსახურების

არხ(ებ)ის გამოყენებით;

9.4.კლიენტის პირადი ნომერი;

9.5.კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართი - ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზეც კლიენტი იღებს ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით განსაზღვრული ოპერაციების წარმოებისთვის საჭირო წვდომის კოდებსა და პაროლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ერთჯერად პაროლებს კლიენტი მიიღებს მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერზე). ამასთანავე, შესაბამისი დისტანციური მომსახურებით სარგებლობის პერიოდში კლიენტი უფლებამოსილია, ხოლო Bitcredit მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, ნებისმიერ დროს დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს ელექტრონული ფოსტის მისამართი Bitcredit შესაბამისი დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის გამოყენებით;

9.6.ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების მისაღებად კლიენტს შესაძლოა განესაზღვროს ავტორიზაციის განხორციელების ვალდებულება მარტივი (სახელისა და პაროლის გამოყენება) ან რთული (სახელის, პაროლისა და ერთჯერადი კოდის გამოყენება) ავტორიზაციის მეთოდით. ავტორიზაციის მეთოდი ყოველი შესაბამისი დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის/მომსახურებებით სარგებლობისათვის ასევე რეგისტრირდება ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში.

10.პირადი ანგარიშის დახურვა

10.1.კლიენტი უფლებამოსილია დახუროს მისი პირადი ანგარიში ნებისმიერ დროს, მაგრამ სესხის დაფარვის შემდგომ.

10.2.პირადი ანგარიშის დახურვის მომენტში (მიმდინარე დავალიანების არქონის შემთხვევაში) მასზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში, Bitcredit საშუალებას იძლევა რომ კლიენტმა გამოიტანოს მისი კუთვნილი თანხები გონივრულ ვადაში, რა პერიოდშიც კლიენტს უფლება ექნება ისარგებლოს მისი პირადი ანგარიშით მხოლოდ პირად ანგარიშზე დარჩენილი ნაშთის გამოტანის მიზნით.

10.3. კლიენტის მიერ მისი პირადი ანგარიშის დახურვით Bitcredit არსებული კლიენტის პირადი მონაცემები არ გაუქმდება. Bitcredit გავაგრძელებს ასეთი ინფორმაციის, მათ შორის ამონაწერის, შენახვას მინიმუმ ექვსი წლის ვადით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

11.თანხის მიღება

11.1. კლიენტს შეუძლია მისი პირადი ანგარიშის საშუალებით ფულადი სახსრების მიღება კერძოდ სესხის აღება.

12.ხელშეკრულების მოქმედების და ვადამდე შეწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულება ძალაში შესვლის შემდგომ ძალაში რჩება 18 წლის ვადით ან

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური ვადით;

12.2.ხელშეკრულების შეწყვეტა კლიენტის ინიციატივით:

12.2.1.კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება Bitcredit წინაშე არსებული ფულადი (მათ შორის მიმდინარე დავალიანების) ან/და არაფულადი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, Bitcredit იურიდიულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

12.2.2.კლიენტის მიერ ამ პირობებით გათვალისწინებული გადასახდელების სრულად და

ჯეროვნად Bitcredit გადახდა წარმოადგენს მისი ფულადი ვალდებულების შესრულებას. ფულადი ვალდებულების (მათ შორის მიმდინარე დავალიანების) შესრულება არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას;

12.2.3. პირობების 12.2.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეები ინარჩუნებენ სხვა უფლებებს (მაგ: Bitcredit შეზღუდვების გარეშე, მომსახურებების გაწევის მიზნით დაამუშავოს და გადასცეს მესამე პირებს და მიიღოს მესამე პირებისგან კლიენტის პერსონალური მონაცემები და ა.შ.), რაც გათვალისწინებულია წინამდებარე პირობებით ხელშეკრულების შეწყვეტამდე;

12.2.4. კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებაში მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:

12.2.4.1. Bitcredit სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

12.2.4.2. კლიენტის პირადი ნომერი და პირადი ანგარიშის ნომერი;

12.2.4.3. ინფორმაცია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.2.4.4. განცხადების შედგენის დრო და ადგილი;

12.2.4.5. კლიენტის სახელი და გვარი გარკვევით, ხელმოწერა;

12.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ იგივე კლიენტის მიერ ხელახალი რეგისტრაცია განიხილება, როგორც პირველადი რეგისტრაცია, რის გამოც მასზე არ გავრცელდება აქციის ფარგლებში მომსახურებებით გათვალისწინებული ან/და ნებისმიერი სხვა დისკრეციული შეღავათები/ფასდაკლება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. Bitcredit შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

12.3.1. Bitcredit ცნობილი ხდება, რომ კლიენტის მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, რომლის შესაბამისად კლიენტს შესაძლებელია დაეკისროს მატერიალური ხასიათის ვალდებულება, რომლის მოცულობაც აღემატება მიმდინარე დავალიანებას, ან კლიენტი მოხვდა მოვალეთა რეესტრში და მისი ვალი აღემატება მიმდინარე დავალიანებას ან/და კლიენტი დაპატიმრებულია;

12.3.2. Bitcredit ცნობილი ხდება, რომ ხელშეკრულების დადებისას კლიენტმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;

12.3.3. კლიენტი გახდა გადახდისუნარო;

12.3.4. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში;

12.3.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია პირველი მოთხოვნისთანავე გადაიხადოს პირობებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა, მათ შორის მიმდინარე დავალიანება;

12.3.6. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში Bitcredit გათავისუფლდება პირობების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან კლიენტის წინაშე;

13. მარეგულირებელი კანონმდებლობა, დავების გადაწყვეტის წესი და პრეტენზიები

13.1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2. პრეტენზიად მიიჩნევა მომხმარებლის ნებისმიერი განცხადება (ზეპირი ან წერილობითი), რომლითაც იგი გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას, საჩივარს ფინანსური ორგანიზაციის და/ან მისი ნებისმიერი პროდუქტის მიმართ. სატელეფონო არხით მიღებული პრეტენზია, რომელიც საჭიროებს შემდგომ განხილვას, არ განიხილება ზეპირი ფორმის პრეტენზიად.

13.2.1 Bitcredit აქვს პრეტენზიების წერილობითი და ელექტრონული ფორმით მიღების/განხილვის სტანდარტული პროცედურა. Bitcredit მვალდებულია მიიღოს პრეტენზიები მომხმარებლისგან ზეპირი, სტანდარტული წერილობითი თავისუფალი

წერილობითი და/ან ელექტრონული ფორმებით; ასევე

- მიიღოს მომხმარებლის პრეტენზია მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდია გასული პრეტენზიაში აღნიშნული საკითხის წარმოშობიდან;
- მომხმარებლის პრეტენზიის დაფიქსირების სურვილის შემთხვევაში Bitcredit ვალდებულია შესთავაზოს პრეტენზიის დაფიქსირების წერილობითი ან ელექტრონული ფორმა. თუ Bitcredit იღებს ზეპირ პრეტენზიას, შესთავაზოს მომხმარებელს მისი ალტერნატივა პრეტენზიის სტანდარტული/თავისუფალი წერილობითი ან ელექტრონული ფორმით გამოხატვის სახით;
- პრეტენზიის, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, მიღებისას პრეტენზიის განმცხადებელს წერილობით/ელექტრონულად დაუდასტუროს პრეტენზიის მიღება;
- არაუგვიანეს მომხმარებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებლის იდენტიფიკაციიდან 1 თვის ვადისა, პრეტენზიის განმცხადებელს, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონულად (მომხმარებელთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად) აცნობოს მას საკითხის შესწავლის შედეგები და, სადაც შესაძლებელია, შესთავაზოს პრეტენზიის გადაწყვეტის პირობები;
- მუდმივად ჰქონდეს მიღებული პრეტენზიების, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, განახლებული ჩანაწერები, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას: პრეტენზიის განმცხადებელი მომხმარებლის მონაცემები, პრეტენზიის ხასიათი, Bitcredit პასუხის შინაარსი, პრეტენზიაში დაფიქსირებული პრობლემის გადაჭრისათვის განხორციელებული ღონისძიებები და საბოლოო შედეგი. მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ჩანაწერები უნდა მიეწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს;
- აწარმოოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების ანგარიშგება მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ Excel-ის ფორმატით და ყოველთვიურად მიაწოდოს აღნიშნული ანგარიშგება საქართველოს ეროვნულ ბანკს ელექტრონულად, მისამართზე – cp@nbg.gov.ge. ბანკი ვალდებულია აღნიშნული ანგარიშგება დამატებით ატვირთოს საქართველოს ეროვნული ბანკის ელექტრონულ პორტალზე. Bitcredit მხრიდან საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ანგარიშგების მიწოდება და ბანკის შემთხვევაში, მისი დამატებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ელექტრონულ პორტალზე ატვირთვა, უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს ყოველი თვის 10 რიცხვისა. მიწოდებული და ატვირთული ანგარიშგებები უნდა იყოს იდენტური და მათში უნდა შედიოდეს გასული თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით მიღებული, ასევე, წინა საანგარიშო თვეს მიწოდებულ და ატვირთულ ანგარიშგებაში დაუსრულებელი სტატუსით აღრიცხული პრეტენზიების შესახებ სტატისტიკა.

13.3. Bitcredit ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, მოთხოვნილი ელექტრონული არხებით, მიაწოდოს მას არაუგვიანეს მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში.

13.4 დეტალური პირობები რეგულირებულია მხარეთა შორის გაფორმებული **სესხის ხელშეკრულებით**.

14. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

14.1. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე პირობების (დანართების ჩათვლით) კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (i) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (ii) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (iii) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების დამუშავების საფუძველია:

- თქვენი ნებაყოფლობითი თანხმობა მონაცემთა დამუშავების თაობაზე;

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- თქვენთან ხელშეკრულების დასადებად ან არსებული ხელშეკრულების შესასრულებლად მონაცემთა დაცვის აუცილებლობა;
- თქვენთვის მომსახურების გასაწევად / განცხადების განსახილველად მონაცემთა დამუშავების საჭიროება;
- Bitcredit“-ის ან მესამე პირების კანონიერი ინტერესების დასაცავად მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა;
- მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომობა;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამოყენება ხდება დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის.
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ თქვენი წერილობითი თანხმობით, ხოლო ბიომეტრიული მონაცემების შემთხვევაში - მონაცემების დამუშავება ხდება თუ ეს აუცილებელია საქმიანობის განხორციელებისთვის პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

კლიენტის მონაცემების შეგროვება

ჩვენთვის თქვენი მონაცემების მიღების წყაროა:

- მომსახურების და პროდუქტის მიღების მიზნით თქვენი მომართვა (მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული მომართვა ან/და ფილიალში ვიზიტი);
- თქვენ მიერ ჩვენი მომსახურებით/პროდუქტებით სარგებლობა;
- ჩვენი დისტანციური არხებით სარგებლობა;
- თქვენ მიერ ჩვენი ოფიციალური ვებ-გვერდის და მისი ფუნქციონალების (მაგ. ჩათის) გამოყენება;
- თქვენს შესახებ ინფორმაციას ასევე ვიღებთ საჯარო წყაროებიდან და მესამე პირებისგან, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას და საჭიროების შემთხვევაში, თქვენი თანხმობის საფუძველზე (მაგ. საკრედიტო საინფორმაციო ბიურო, შემოსავლების სამსახური, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ჩვენი ჯგუფის კომპანიები და სხვა).

1. კლიენტის ინფორმაციის დამუშავება

მომსახურების გაწევისას კლიენტთან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ დამუშავებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ჩამოთვლილი კატეგორიის მონაცემებს მათი დამუშავების მიზნის პროპორციული მოცულობით:

2. საიდენტიფიკაციო მონაცემები

სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების ადგილი, მისამართი (რეგისტრაციის და ფაქტობრივი), ეროვნება, ფოტოსურათი, ხელმოწერის ნიმუში და სხვა;

3. დოკუმენტური

პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა, დაბადების მოწმობა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამეზავრო დოკუმენტის ნომერი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი,

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა;

4. საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი (იურიდიული და ფაქტობრივი), ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვა;

5. სოციალური დემოგრაფიული ინფორმაცია

ინფორმაცია სამსახურის/პროფესიის, მოქალაქეობის, განათლების შესახებ, ასევე, ინფორმაცია სოციალური სტატუსის და შემოსავლების შესახებ და სხვა;

6. ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია

ქორწინების მოწმობა, ოჯახის წევრების საიდენტიფიკაციო და დოკუმენტური მონაცემები, ინფორმაცია ოჯახის წევრების, საკონტაქტო პირების შესახებ, ინფორმაცია პირის გარდაცვალების თაობაზე და გარდაცვალების მოწმობა და სხვა;

7. ფინანსური ინფორმაცია

ინფორმაცია ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ტრანზაქციებთან და ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია, საკრედიტო ისტორია და კრედიტუნარიანობა, ინფორმაცია ვადაგადაცილებების, ფინანსური პროდუქტების, შემოსავლის, ქონების, განხორციელებული გადახდების ან/და გადარიცხვების შესახებ (მათ შორის, სად და როდის განხორციელდა ესა თუ ის ტრანზაქცია);

8. სახელშეკრულებო ინფორმაცია

ინფორმაცია „Bitcredit“-ის მიერ გაწეული მომსახურებისა და მოწოდებული პროდუქტების შესახებ;

9. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ადმინისტრაციული პატიმრობის, ნასამართლეობის, ბრალდების შესახებ ინფორმაცია. ასევე, გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემები და სხვა;

10. ტექნოლოგიური მოწყობილობის შესახებ მონაცემები

IP მისამართი, მზა ჩანაწერები (cookies), IMEI კოდი, აპლიკაციის ლოგები, ქცევითი მონაცემები, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ და სხვა;)

11. ჩანაწერები

აუდიო და ვიდეო ჩანაწერები;

12. კომუნიკაციისას მოპოვებული მონაცემები

ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო გზით, ჩათის, სოციალური მედიის ან სხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოპოვებული მონაცემები;

13. საჯარო მონაცემები

საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია.

14. ჩვენს მიერ შექმნილი მონაცემები

„Bitcredit“-ის მიერ კლიენტის შესახებ მონაცემების ანალიზის შედეგად შექმნილი მონაცემები (მაგ. მონაცემები კლიენტის ქცევის, პრეფერენციების, რისკის რეიტინგის შესახებ და ა.შ.);

15. მონაცემები, რომელთა დამუშავების ვალდებულება „Bitcredit“-ს გააჩნია კანონმდებლობით

მონაცემები, რომელთა დამუშავებას გვავალდებულებს კანონმდებლობა (მაგ. იდენტიფიკაცია - ვერიფიკაციის, KYC-ის, AML-ის მიზნობრიობით დამუშავებული მონაცემები) და ა.შ.

16. მზა ჩანაწერები (Cookies)

ჩვენ ვცდილობთ ჩვენს ვებ-გვერდზე ყოფნისას მუდმივად გაგიუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი და გამოცდილება და დავიცვათ თქვენი უსაფრთხოება. შესაბამისად, ჩვენი ვებ-გვერდითა და სხვა დისტანციური პლატფორმებით სარგებლობისას ჩვენ ვაგროვებთ ე.წ. მზა ჩანაწერებს თქვენს შესახებ. მზა ჩანაწერები (cookies) გამოიყენება ვებ-გვერდითა და სხვა დისტანციური პლატფორმებით სარგებლობისას თქვენი გამოცდილების პერსონალიზირების, გაუმჯობესების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით. კერძოდ, ნავიგაციის გამარტივების, ინფორმაციის სასურველი ფორმატით შეთავაზების, ძეგნის პარამეტრების გაუმჯობესების, მომხმარებლის უსაფრთხო ავტორიზაციის, მარკეტინგის, ვებ-გვერდების დიზაინის ოპტიმიზაციისა და მომხმარებლისთვის უკეთესად ადაპტირების მიზნებით.

მზა ჩანაწერების მეშვეობით ვადგენთ ოპერაციული სისტემის ვერსიას, მოწყობილობის მოდელს და მოწყობილობის სხვა უნიკალურ იდენტიფიკატორებს, ვებ-გვერდებზე გატარებული დროის ხანგრძლივობას, გახსნილი გვერდების შესახებ ინფორმაციას, ონლაინ ნავიგაციის ისტორიას, ბრაუზერის შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციას იმ ქმედებების შესახებ, რომელიც ჩვენს ვებგვერდზე განხორციელდა, რა გეოლოკაციიდან განახორციელეთ წვდომა და რა ენაზე გაეცანით ინფორმაციას. ვცდილობთ გავიგოთ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს ვებ-გვერდს. ჩვენს ვებ-გვერდზე და დისტანციურ არხებში ვიზიტისას თქვენ გაქვთ შესაძლებლობა დაეთანხმოდ/არ დაეთანხმოდ მზა ჩანაწერების გამოყენებას ან/და მართლაც თქვენი სურვილის შესაბამისად მზა ჩანაწერების გამოყენების მიზნობრიობა (მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ, არ დაეთანხმოდ მზა ჩანაწერების გამოყენებას ანალიტიკური ან/და მარკეტინგული მიზნებით).

მონაცემთა დამუშავების მიზანი

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს მხოლოდ კანონიერი მიზნებისთვის და მათი შესაბამისი მოცულობით. „Bitcredit“-ის მიერ მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის:

- „Bitcredit“-ის მომსახურების გასაწევად (მათ შორის, სესხის გაცემა (გადახდა, გადარიცხვა და ა.შ.) განსახორციელებლად);
- „Bitcredit“-ის მომსახურების (პირობების ცვლილების, ახალი ან დამატებითი პროდუქტის) შეთავაზებისა და გაუმჯობესებისათვის, რაც, მათ შორის, გულისხმობს საკრედიტო ან/და ტრანზაქციული ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;
- კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით მარეგულირებლის ან სხვა საზედამხედველო ორგანოსათვის და აუდიტორული კომპანიებისთვის მონაცემების ხელმისაწვდომობისთვის;
- სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და რეპორტების მოსამზადებლად;
- მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ჩვენი კანონისმიერი ვალდებულებების შესასრულებლად, რაც, მათ შორის მოიცავს თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის პრევენციის, გამოვლენასა და აღკვეთას;
- „Bitcredit“-ის ან სხვა პირების უსაფრთხოებისა და საკუთრების დასაცავად.
- კლიენტისათვის შესაბამისი კორესპონდენციის/შეტყობინების გაგზავნის/ჩაბარების მიზნით;
- „Bitcredit“-ის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ან/და კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით;

- მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობით „Bitcredit“-ის მიერ სხვადასხვა პროდუქტის/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას, მარკეტინგული აქტივობების შემუშავებას/დაგეგმვას;
- „Bitcredit“-ის ლეგიტიმური ინტერესის ან/და სამართლებრივი უფლებების დასაცავად.

პერსონალური მონაცემების დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის

თქვენს პერსონალურ მონაცემებს მარკეტინგული მიზნებისთვისაც ვიყენებთ - მათი ცოდნა გვჭირდება იმისათვის, რომ მოგაწოდოთ თქვენზე მორგებული პროდუქტებისა და შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია.

თქვენს მონაცემებს ვაგროვებთ იმ ინფორმაციიდან, რასაც თავად გვიზიარებთ, ასევე, იმ წყაროებიდან, რომლებზეც ხელი მიგვიწვდება, როდესაც ჩვენი მომსახურებით სარგებლობთ.

თქვენს მონაცემებს შევისწავლით იმისათვის, რომ გავიგოთ, რა გსურთ ან რა გჭირდებათ, რა იქნებოდა თქვენთვის საინტერესო. ასეთი ფომით ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომელი პროდუქტი, მომსახურება თუ შეთავაზება შეიძლება იყოს თქვენთვის შესაფერისი..

ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს და გიგზავნით მარკეტინგულ შეტყობინებებს, როცა გვაქვს თქვენი თანხმობა ან ლეგიტიმური ინტერესი. თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს დაგვიკავშირდეთ და გვთხოვოთ მარკეტინგული შეტყობინებების გამოგზავნის შეწყვეტა. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს სურვილებს და მაქსიმუმ 3 დღეში შევწყვეტთ თქვენი მონაცემების გამოყენებას პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი უსაფრთხოება და ინტერესები, რის გამოც თქვენ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებთ შეტყობინებებს თქვენთვის შემოთავაზებულ პროდუქტებისა და მომსახურებების პირობებში ჩვენს მიერ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

კლიენტის უფლებები

თქვენი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობითა და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგლამენტის (GDPR) შესაბამისად. შესაბამისად, ზემოაღნიშნული რეგულაციების საფუძველზე თქვენ უფლება გაქვთ, მოგვთხოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, „Bitcredit“ ვალდებული იქნება, მოგაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ჩვენ უფლება გვაქვს, გამოვიყენოთ თქვენი პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არებობს კონკრეტული სახელშეკრულებო ან/და კანონისმიერი საფუძველი.

მნიშვნელოვანია, რომ „Bitcredit“ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება არ არის თქვენთვის ზიანის მომტანი.

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

თქვენ უფლება გაქვთ, მიიღოთ ინფორმაცია თქვენ შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოთ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. კანონი განიჭებთ შემდეგ უფლებებს, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის და ასლის მიღების უფლება - თქვენ გაქვთ უფლება იყოთ ინფორმირებული თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნისამებრ, ჩვენ უნდა მოგაწოდოთ დეტალები იმის თაობაზე, თუ რომელ პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ, რა მიზნით და საფუძველით, როგორ ვაგროვებთ, რა ვადით ვინახავთ, ვის გადავცემთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს და ა.შ. წინამდებარე მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი ამის მაგალითია. თქვენ, ასევე უფლება გაქვთ, მიიღოთ „Bitcredit“-ისგან იმ პერსონალური მონაცემების ასლი, რომელიც მუშავდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება - თუ „Bitcredit“-ის მიერ დამუშავებული თქვენი მონაცემები არასწორი, არასრული ან არაზუსტია, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება და მოგვაწოდოთ ამისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება - თქვენ უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ თქვენ შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, საგადასახადო, საქმიანობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობებიდან და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე, „Bitcredit“-ის შესაძლოა მოკლებული იყოს შესაძლებლობას, მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

მონაცემთა დაბლოკვის უფლება - თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა (დამუშავების შეზღუდვა), როდესაც პერსონალური მონაცემების სიზუსტე სადავოა თქვენი მხრიდან ან ითხოვთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გადავამოწმოთ პერსონალური მონაცემების სიზუსტე და განვიხილოთ მოთხოვნა; როდესაც დამუშავება უკანონოა, თუმცა, თქვენ უარს აცხადებთ პერსონალური მონაცემების წაშლაზე და, სანაცვლოდ, ითხოვთ მონაცემების დაბლოკვას; „Bitcredit“-ს აღარ ესაჭიროება პერსონალური მონაცემები დამუშავების მიზნებისთვის, მაგრამ მონაცემები გჭირდებათ საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; როდესაც არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

მონაცემთა გადატანის უფლება - თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ სტრუქტურული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოთ თქვენ მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა. „Bitcredit“-ი უფლებამოსილია უარი განაცხადოს თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ აღნიშნული ტექნიკურად შეუძლებელია.

ავტომატიზებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული უფლებები - კანონმდებლობა გაძლევთ უფლებას არ დაექვემდებაროთ მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება: (ა) ეფუძნება თქვენს აშკარად გამოხატულ თანხმობას; (ბ) აუცილებელია ჩვენ შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად; (გ) გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

თანხმობის გამოხმობის უფლება - თანხმობის გათხოვა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. გამოთხოვის უფლების

რეალიზაცია მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც დამუშავების საფუძველი არის თქვენი თანხმობა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამასთან, თანხმობის გათხოვის შემთხვევაში, ჩვენ, შესაძლოა, მოკლებულნი ვიყოთ შესაძლებლობას, სრულყოფილად გაგიწიოთ მომსახურება.

გასაჩივრების უფლება - თუ თვლით, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. მეტი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სამსახურის ვებგვერდს <https://personaldata.ge/>

თქვენი უფლებების შეზღუდვა

თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი რეალიზაცია საფრთხეს უქმნის:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას;
- ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- თქვენი ან სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

უფლებების შეზღუდვის ზომას „Bitcredit“ იყენებს მხოლოდ შეზღუდვის მიზნის ადეკვატურად და პროპორციული მოცულობით.

14.5 პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ Bitcredit-ის პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში შემდეგ მისამართზე: [Bitcredit.ge](https://personaldata.ge/)

15.მომსახურებების შეჩერება

15.1.Bitcredit უფლებამოსილია შეაჩეროს კლიენტის პირადი ანგარიშის მოქმედება ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მომსახურება, შეწყვეტამდე ორი კვირით ადრე კლიენტისთვის შეტყობინების პირობით.

15.2.Bitcredit უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს კლიენტის პირადი ანგარიშის მოქმედება წინასწარი შეტყობინების გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ:

15.2.1.კლიენტი დაარღვევს წინამდებარე პირობების ნებისმიერ დებულებას, ან ნებისმიერ სხვა დებულებას;

15.2.2.კლიენტი დაარღვევს, ან Bitcredit აქვს გონივრული საფუძველი, ივარაუდოს, რომ კლიენტმა დაარღვია ნებისმიერი კანონი ან ინსტრუქცია, რომელიც აწესრიგებს კლიენტის მიერ პირადი ანგარიშის გამოყენებას;

15.2.3.Bitcredit აქვს საფუძველი იფიქროს, რომ კლიენტი რაიმე ხერხით ჩართულია

თაღლითურ ქმედებაში, ფულის გათეთრებაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა დანაშაულებრივ ქმედებაში;

16.წინამდებარე პირობებში ცვლილებების შეტანა

16.1.წინამდებარე პირობები შესაძლებელია დაექვემდებაროს ცვლილებებს. ცვლილებები განხორციელებულ იქნება Bitcredit მხრიდან კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუმცა, პირობებში ცვლილების შესვლის შემთხვევაში კლიენტმა ხელმეორედ უნდა განაცხადოს მათზე თანხმობა ცვლილების შემდგომ მომსახურებების მიღების მიზნით. პირობების ყოველი ცვლილებისას კლიენტს ექნება შესაძლებლობა განაცხადოს თანხმობა Bitcredit ნებისმიერი არხით სარგებლობისას.

17.კომუნიკაციის წესი

17.1.წინამდებარე პირობებიდან გამომდინარე შეტყობინება კლიენტს შესაძლოა გაეგზავნოს:

- მის მიერ მითითებულ მისამართზე;
- ელექტრონული ფოსტის მისამართზე;
- მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით;

17.2.კლიენტის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების ჩაბარება შესაძლებელია ყოველდღე, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დროს შესაბამის მისამართზე არ იმყოფება არც ერთი პირი ან პირი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე;

17.3.შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ კლიენტს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება კლიენტისთვის შეტყობინების ჩაბარებად;

17.4.კლიენტი, ყოველდღე, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე, უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტიდან;

17.5.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საშუალებებს შორის არჩევის უფლება აქვს Bitcredit. Bitcredit უფლებამოსილია შეტყობინების გაგზავნისათვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით შეტყობინების ჩაბარება საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის და კლიენტი არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ Bitcredit ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენჯერმე ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით;

17.6.კლიენტი ადასტურებს, რომ თანახმაა Bitcredit ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადების შემდგომ მიიღოს ანგარიშსწორება და მიმოწერა ელექტრონულად, დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. კლიენტი ინფორმირებულია, რომ Bitcredit მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ გულისხმობს მიმდინარე დავალიანების, გადასახდელი საკომისიოს ან ნებისმიერი სხვა ფულადი ვალდებულების გადაუხდელობას;

17.7.თუ იცვლება კლიენტის მიერ მითითებული ანგარიში ან ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო მონაცემები, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ Bitcredit და მიაწოდოს ყველა

შეცვლილი ინფორმაცია. საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ამ პირობებით გათვალისწინებულ კლიენტის საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად;

17.8.ამ მუხლის მეექვსე პუნქტით გათვალისწინებული, ასევე სხვა ნებისმიერი შეტყობინება Bitcredit მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ ის შედგენილია წერილობით და ბარდება Bitcredit მისამართზე;

17.9.თუ Bitcredit კლიენტს მის მიერ მითითებულ მისამართზე გაუგზავნა წერილობითი შეტყობინებები ნებისმიერი გადასახდელების, მათ შორის მიმდინარე დავალიანების შესახებ ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა შეკვეთილი წერილები, მას აქვს უფლება მოითხოვოს კლიენტისგან გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

17.10.კლიენტისგან წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებაზე Bitcredit ვალდებულია გასცეს პასუხი მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს 20 დღის ვადაში;

17.11.კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებრე პირობების და ხელშეკრულების ეგზემპლარი, რისთვისაც კლიენტმა უნდა მიმართოს Bitcredit კლიენტთა მომსახურების ცენტრს.

18.ზარალის ანაზღაურება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

18.1.იმის გათვალისწინებით, რომ Bitcredit მოქმედებს კლიენტის დავალებით, მომსახურებების გაწევისას კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს Bitcredit ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, კლიენტის ან მესამე მხარის მიერ წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, რომლის შედეგადაც Bitcredit მიაღდა ზიანი ან ზარალი.

18.2.კლიენტი აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წვდომის კოდ(ებ)ის გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ;

18.3.ამ პირობების დებულებების მიუხედავად, Bitcredit არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა წინამდებარე პირობებთან დაკავშირებით.

18.4.ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურებისა და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება Bitcredit აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია Bitcredit ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ პირობების დარღვევას);

18.5.ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ მხარეები ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან და პირობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს;

19. გადასახადები

19.1. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ პირობების შესაბამისად. კლიენტი აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდეელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პირადი ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურებასთან მიმართებით (ერთად – „საგადასახადო ვალდებულება“); Bitcredit არ ასრულებს ან შეასრულებს კლიენტის ფისკალური აგენტის როლს და, შესაბამისად, არ არის ვალდებული და არც დააკავებს წყაროსთან გადახდის მიზნით კლიენტის მიერ გადასახდელ ნებისმიერ გადასახადს, ვინაიდან კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ამ პირობებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებებზე; ამასთანავე, Bitcredit თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტისგან მიღებულ საკომისიო თანხასთან.

თუ კანონის შესაბამისად Bitcredit ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა კლიენტის საგადასახადო ვალდებულების გამო, კლიენტი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს Bitcredit ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია Bitcredit რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით;

19.2. Bitcredit ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობითა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად კლიენტმა უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის კლიენტი ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

20. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებები

20.1. კლიენტი აღიარებს, რომ Bitcredit, ისევე როგორც ჯგუფის კომპანიების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონებით ფულის გათეთრებისა და მსგავსი დანაშაულის აღკვეთის შესახებ. აქედან გამომდინარე, Bitcredit და ჯგუფის კომპანიები კანონის შესაბამისად ვალდებული არიან მოახდინონ კლიენტის პიროვნების და მისი შემოსავლის წყაროს იდენტიფიცირება, სანამ კლიენტის მიერ Bitcredit გახსნილი პირადი ანგარიში მოქმედი გახდება. თუ კლიენტი არ გასცემს პასუხს განაცხადში მოცემულ ყველა კითხვას ან არ მიაწვდის Bitcredit ყველა სახის მოთხოვნილ ინფორმაციას, Bitcredit შესაძლოა ვერ მიიღოს კლიენტის განაცხადი მომსახურების შესახებ;

20.2. ამ პირობების თანახმად კლიენტი უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ Bitcredit მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ (განსაკუთრებით, თანხების საერთაშორისო გადარიცხვების შესახებ, კლიენტის პირადი ანგარიშიდან გადარიცხული თანხების მიმღების ან კლიენტის პირად ანგარიშზე ჩარიცხული თანხების შესახებ) შესაბამისი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სამსახურებს (საქართველოში და საზღვარგარეთ) კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამგვარი ინფორმაცია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ პირების სახელებსა და პირადობის დამადასტურებელ მონაცემებს, რომლებთანაც კლიენტს ფინანსური კავშირი აქვს;

20.3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებების შედეგად,

შესაძლებელია დაგვიანდეს კლიენტის დავალებების განხორციელება ან თანხების მიღება, მაგრამ, თუ შესაძლებელი იქნება, Bitcredit კლიენტს განუმარტავს დაგვიანების გამოწვევებზე;

20.4. ინფორმაციის გადაცემა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი სამსახურებისთვის არ განიხილება კონფიდენციალურობის დარღვევად აქ მოყვანილი დებულებების შესაბამისად; არც Bitcredit და არც ჯგუფის კომპანიები არ იქნებიან ვალდებული კლიენტის არანაირ პირდაპირ ან შედეგობრივ ზარალზე (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ მოგებას), რომელიც გამოწვეულია ამგვარი კანონმდებლობის დაცვით.

21. ფორს-მაჟორის პირობები

21.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორს-მაჟორი წარმოადგენს: სტიქიურ კატასტროფას, ხანძრის, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას, მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლას, პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებას, საომარ მოქმედებას, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელსაც Bitcredit ვერ აკონტროლებს, რომლებიც: (ა) არ არის გამოწვეული Bitcredit შეცდომით ან/და დაუდევრობით; ბ) წარმოიშვა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ; და (გ) პირდაპირ ზეგავლენას ახდენს Bitcredit შესაძლებლობაზე სრულად ან/და ჯეროვნად შეასრულოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შემდგომში - ფორს-მაჟორი).

21.2. ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, გარდა ფინანსური ვალდებულებებისა.

21.3. მხარე, რომელსაც დაუდგა ფორს-მაჟორი, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

21.4. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი, თუ ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს (გარემოებებს) ან მეორე მხარეს ეჭვი შეაქვს მათ ნამდვილობაში, შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე დაკარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

21.5. თუ ფორს-მაჟორის მოქმედება, შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის მიღების თარიღიდან, ან ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში მხარეები უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თითოეული მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულება და შესაბამისი Bitcredit მომსახურებები შეწყვიტოს

ცალმხრივად.

22. ინტელექტუალური საკუთრება

22.1 ვებ-გვერდზე, მის შინაარსზე, სტრუქტურასა და დიზაინზე სრულად ვრცელდება Bitcredit-ის საავტორო უფლება. Bitcredit-ის ექსკლუზიური უფლებები ვრცელდება ასევე მის მიერ შექმნილ და რეგისტრირებულ ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერ ობიექტზე, მათ შორის მის კუთვნილ სასაქონლო ნიშნებზე.

22.2 Bitcredit საავტორო (©) და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ვრცელდება წინამდებარე ვებ-გვერდსა და მასზე არსებულ მთელ შინაარსზე (პროდუქტებისა და მომსახურების ჩათვლით).

22.3 აკრძალულია წინამდებარე ვებ-გვერდზე მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის/შინაარსის, მათ შორის ლოგო, პიქტოგრამა, გრაფიკა, სურათი, გამოსახულება, პატენტი, მომსახურების/სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, Bitcredit მიერ შექმნილი ვიზუალური მედია და სხვა ინტელექტუალური საკუთრების (რეგისტრირებული, ან არარეგისტრირებული) უნებართვო გამოყენება, დამუშავება და გამოქვეყნება (მათ შორის სოციალურ მედიაში) Bitcredit წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. Bitcredit თანხმობა არ არის საჭირო, თუ წინამდებარე მონაცემების გამოყენება ხორციელდება არაკომერციული, პირადი მიზნებისთვის და იმ შემთხვევებში, როცა წინასწარ თანხმობას არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა, ან შესაბამისი საერთაშორისო რეგულაცია.

22.4 ინტელექტუალური საკუთრების ვებ-გვერდზე მითითება არ ნიშნავს მომხმარებლისათვის მის გამოყენებაზე ლიცენზიის მინიჭებას. ვებ-გვერდიდან მომხმარებლის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის კომერციული მიზნებისთვის გადმოწერა, ან ასლის დამზადება ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევად.

22.5 წესებსა და პირობებში მითითებული არცერთი დანაწესი არ განიჭებთ უფლებას, ან ლიცენზიას წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი Bitcredit ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებაზე.

22.6 იმ შემთხვევაში, თუ Bitcredit რომელიმე ვებ-გვერდი მომხმარებლებს ანიჭებს ჩატის, ინტერაქციის, თუ დიალოგის/დისკუსიის გამართვის შესაძლებლობას, ვალდებულნი ხართ, წინამდებარე არხებში დააფიქსიროთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელზეც ფლობთ ინტელექტუალურ საკუთრებას, ან გაქვთ შესაბამისი პირის თანხმობა. ამასთან ერთად, Bitcredit ანიჭებთ უფლებას დაამუშაოს (მათ შორის, გამოაქვეყნოს) თქვენ მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია კანონიერი, საკომუნიკაციო/საინფორმაციო (მათ შორის, საგამოფენოდ, კონკურსში მონაწილეობისათვის) მიზნებისათვის.

22.7 Bitcredit ჯგუფის წევრი კომპანიები შესაძლოა იყენებდნენ ბანკის სასაქონლო ნიშანს, დასახელებას და ლოგოტიპს, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკუთრებას. ლაჟვარდის ფერი არის ბანკის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ნაწილი, რომელიც რეგისტრირებულია დადგენილი წესით.

22.8 Bitcredit ვებ-გვერდზე მითითებული კომპანიების სახელები, სასაქონლო ნიშნები, ლოგოები ეკუთვნის შესაბამის პირებს.

23. გარდამავალი დებულებები

23.1. კლიენტის პირადი ანგარიში განკუთვნილია კლიენტის პირადი სარგებლობისთვის და

წინამდებარე პირობების მიხედვით, კლიენტი არ არის უფლებამოსილი კუთვნილი უფლებები გადასცეს მესამე პირებს;

23.2. Bitcredit აცხადებს, რომ წინამდებარე პირობებში წარმოდგენილი გარკვეული მომსახურებები შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი გარკვეულ მომენტში, რაც განეკუთვნება Bitcredit დისკრეციულ უფლებამოსილებას და შესაბამისად, Bitcredit არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აღნიშნული მომსახურებების მიწოდება, ან მოხდება მისი ნაწილობრივი მიწოდება;

23.3. კლიენტის პირადი ანგარიშის მართვა ხდება საქართველოში და წინამდებარე პირობები ექვემდებარება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერი სახის დავა, რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული პირობებიდან, ან სხვაგვარად უკავშირდება კლიენტის პირად ანგარიშს, მიმართულ იქნება ექსკლუზიურად საქართველოს სასამართლოებში;

23.4. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე პირობების რომელიმე ნაწილი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპეტენტური სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნება ძალადაკარგულად, უკანონოდ, ან ისეთად, რომლის აღსრულებაც ვერ ხორციელდება, აღნიშნულ ნაწილი განიხილება, როგორც პირობების დანარჩენი დებულებებისგან განცალკევებული, ხოლო დანარჩენი დებულებები განაგრძობს სრულად მოქმედებას კანონით ნებადართულ ფარგლებში;

23.5. წინამდებარე პირობებზე თანხმობის გაცხადებით კლიენტი უპირობოდ აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ Bitcredit ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე;

23.6. წინამდებარე პირობებში აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე;

23.7. Bitcredit მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია მიაწოდოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც Bitcredit მოითხოვს ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

23.8. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე;

23.9. Bitcredit უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კლიენტს Bitcredit საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის Bitcredit ვებ-გვერდის მეშვეობით, Bitcredit ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არხით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

23.10. Bitcredit მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება არ ნიშნავს იმას, რომ Bitcredit უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე, Bitcredit ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენების შეზღუდვას;

23.11. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება Bitcredit კლიენტის მიერ პირობების დარღვევის შედეგად კრებითია და დაემატება ამ პირობებით ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას;

- 23.12.კლიენტი, Bitcredit წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ პირობებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს;
- 23.13.პირობებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე;
- 23.14.მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე პირობების შესრულების ადგილად მიჩნეულია Bitcredit იურიდიული მისამართი;
- 23.15.წინამდებარე პირობების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
- 23.16.იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პირობებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით;
- 23.17.პირობები შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე მხარემ არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან მხარეებს ან ერთ-ერთ მხარეს სურს, მაშინ პირობები ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე მხარეებისათვის მისაღებ სხვა ენაზეც. პირობების ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, მხარეთა შორის ურთიერთობაზე ან/და პირობების, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.